ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №246223

ნომერი: AR161516

თარიღი : 28.06.2012

გაცემის თარიღი : 04.07.2012

გაცნობის თარიღი : 04.07.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 44/48 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლადო გოგილაშვილი პ/ნ 01006000206
- თბილისი ნ.ხუდადოვის ქ. N 7

ორგანიზაცია:
- ლ არქიტექტსი კოდი: 202457910

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მარინა კოდუა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006007990
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "კოლხეთი XXI
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202910822

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.04.2012
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 134424

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლადო გოგილაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კოტე მარჯანიშვილის ქ. N44/48–ში (ძეგლი) მდებარე შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

სამსახურის მიერ 27.01.12 წლის N01/205 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - ჩუღურეთი), კოტე მარჯანიშვილის ქ. N44/48-ში (უძრავი ძეგლი) შ.პ.ს. "კოლხეთი XXI"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა 27.01.12 წლის N6/206–1 უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა. აღნიშნულ მისამართზე, შ.პ.ს. "ლ არქიტქსი"–ს დირექტორის, ლ. გოგილაშვილის 2012 წლის 14.04.12 წლის NAR141451 განცხადების საფუძველზე სამსახურის მიერ 25.04.12 წლის №134424 ბრძანებით შეთანხმდა კორექტირებული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა.

გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის შეთანხმება; შესაძლებელია მხოლოდ უკანა ფასადის აივნების შეცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს. შენიშვნის გათვალისწინებით კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური იმსჯელებს თქვენი მოთხოვნის შესახებ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.